აჭარის ხის მეჩეთების მხატვრული გადაწყვეტის ზოგიერთი ასპექტი

მაია ჭიჭილეიშვილი
ბათუმის ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
6010. ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 32/35, საქართველო.
+995593362361. maia.tchitchileishvili@bsu.edu.ge
ORCID. 0009-0002-2030-9948

აბსტრაქტი

აჭარაში შემორჩენილი XIX-XX საუკუნეების ხის მეჩეთები (ჯამეები) ქართულ ტრადიციებთან ღრმად დაკავშირებული ფენომენია. მეჩეთებისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციური ნაგებობების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა ისლამის საკულტო ნიმუშების მოთხოვნებსა და ქართულ, ადგილობრივ ტრადიციებს ეფუძნება. მათი არქიტექტურა ავლენს საეკლესიო, საერო და საცხოვრებელი ნაგებობების მხატვრულ თავისებურებებს. ეს ნიშანი მჟღავნდება შენობათა გარეგნულ იერში, შიდა სივრცის გადაწყვეტაში, ცალკეულ დეკორატიულ მოტივებში.

მეჩეთის არქიტექტურა გვაგონებს აჭარული ტიპის „ოდასახლს“, თუმცა, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ქვის საძირკველზე აღმართული ხის ორი ან სამსართულიანი შენობა ხასიათდება ერთგვარი ავტონომიურობით. მეჩეთის გეგმას, ძირი-

თადად, საფუძველად უდევს სვეტებზე დამყარებული სამმხრივი ანტრესოლით შემოსაზღვრული დარბაზის ცენტრის აქცენტირების თემა, რაც ქართული ტრადიციისათვის ნაცნობ კონცეფციას ეფუძნება. ინტერიერი გამოირჩევა ნათელი სივრცულ-მოცულობრივი სტრუქტურით, მდიდარი დეკორატიული შემკულობით, ხეზე კვეთილი ჩუქურთმებითა და გადახურვის მრავალფეროვანი ფორმებით, რომლებშიც ქართული ხითხუროობის უძველესი ტრადიციები იკითხება.

XIX-XX საუკუნეების აჭარის ხის მეჩეთების არქიტექტურა ეროვნული ხალხური ხელოვნების ტრადიციებითა და თანადროული ხანის ოტომანური ხელოვნების მხატვრული სიახლეებითაა ნასაზრდოები. ისინი აგებულია ადგილობრივი და სხვადასხვა კუთხეებიდან (შავშეთი, ჭანეთი) მოსული ქართველი ოსტატატების მიერ.

საკვანძო სიტყვები: მეჩეთი, ჯამე, ხალხური,ხუროთმოძღვრება, გეგმა, ექსტერიერი, ინტერიერი, ტრადიცია.

შესავალი

XVI საუკუნიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ, აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდს ისლამის გავრცელება და ახალი რელიგური იდეოლოგიით განპირობებული ცხოვრების წესების დამკვიდრება მოჰყვა, რამაც მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა მოსახლეობის ყოფასა და კულტურაში. ისლამიზაციის პერიოდში, განსაკუთრებით კი XIX საუკუნიდან, ინტენსიურად მიმდინარეობდა საკულტო ნაგებობების მშენებლობის, სასწავლებლების გახსნის, რელიგიურ-სამართლებრივი სისტემის გავრცელებისა და დამკვიდრების პროცესი. ეროვნ-

ული და უცხო ტრადიციების სინთეზის პრობლემა აისახა სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა სფეროში.

აჭარა ხითხუროობით განთქმული მხარეა. ხე-ტყით მდიდარ კუთხეში, განსაკუთრებით მთიან ზოლში, სახლები ხისგან იგებოდა, ქვედა ზოლში კი შერეული ტექნიკით, ხის, ქვის ან ხისა და აგურის კონსტრუქციებით. ვერნაკულარული არქიტექტურის ნიმუშები ხასიათდება ბუნებასთან ჰარმონიული შერწყმით, ხის მასალის გრძნობით, ხისა და ქვის ფაქტურის გასაოცარი სინთეზით, ფერადოვნებით, სამშენებლო ოსტატობით, ფასადების მორთვის სისადავითა და ერთგვარი სიმკაცრით.

რეგიონის ხალხური ხუროთმოძღვრების მაღალმხატვრული ტრადიციების ყველაზე ხატოვან გამოვლინებას აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილი უნიკალური ხის მეჩეთები-ჯამეები წარმოადგენს. ტერმინი „ჯამე“ მეჩეთის ხალხური სახელწოდებაა და საკრებულო ანუ „ჯუმა“ მეჩეთიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც პარასკევის ან სადღესასწაულო ლოცვები აღევლინებოდა, „ჯამე“ ხალხური გააზრებით მეჩეთის ერთგვარი სინონიმია (ბარამიძე, 2010: 392-393). აჭარაში შემორჩენილი, XIX და XX საუკუნის დასაწყისში აგებული მეჩეთების უმრავლესობა მთლიანად ხისგანაა აშენებული, ამასთანავე, გვხვდება ქვის ან შერეული მასალით - ქვითა და ხით აშენებული ჯამეები, რომელთა შიდა კონსტრუქციები და მხატვრული ფორმები ხის მასალითაა შექმნილი. ქვის შენობები ცოტაა და მათი ძირითადი ნაწილი ბარის ზონაში გვხვდება. ესაა: ბათუმის, ხუცუბნის, წყავროკის, ხალის, ხელვაჩაურის, მახვილაურის, მარადიდის, ხულოს ყოფილი და მოქმედი მეჩეთები (ბარამიძე, 2010:400).

ხის მეჩეთების უმეტესი ნაწილი ხულოს, შუახევისა და ქედის მთიან სოფლებშია შემორჩენილი, უფრო ნაკლები რაოდენობით ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ოსმალური ტრადიციების საკულტო კომპლექს-

ების მსგავსად, მეჩეთებთან დაკავშირებულია სხვადასხვა ფუ-ნქციის მქონე ნაგებობები - მინარეთი, მედრესე, აბდესხანა, სასაფლაო და სხვ.

აჭარაში შემორჩენილია როგორც ოსმალთა, ასევე რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში აშენებული მეჩეთები. მათი უმრავლესობა XIX-XX საუკუნეების დასაწყისშია აგებული, 1921 წლისათვის აჭარაში 158 მეჩეთი იყო აღნუსხული (ჰარის-ბრანდტსი, ვილერი, შიოშვილი, 2018:1-5). საბჭოთა ათეიზმის პერიოდში (1921-1991) მათი მშენებლობა შეწყდა, თუმცა არსებული შენობები შემოინახა, რადგან ისინი დამხმარე სამეურნეო ნაგებობებად იქნა გამოყენებული. XX საუკუნის დასასრულიდან მეჩეთებში მუსლიმანური ღვთისმსახურება კვლავ აღდგა. საბჭოთა საქართველოს ხანაში, მოვლა-პატრონობის პირობების არარსებობისა და ბოლო პერიოდში მიმდინრე მოდერნიზაციის პროცესების შედეგად, ჩვენამდე მოქმედი ხის მეჩეთების მხოლოდ ნაწილია მოღწეული მეტ-ნაკლებად ავთენტური სახით.

არქიტექტურის ამ ნიმუშებმა გასული საუკუნიდან მიიქცია ქართველ მეცნიერთა ყურადღება. მათ ნაშრომებში აჭარის ხის მეჩეთები, ძირითადად, ხალხური ხითხუროობის ნიმუშებადაა მიჩნეული. საგანგებოდაა აღნიშნული კავშირი ხალხურ საცხოვრებელ და ქრისტიანული ნაგებობებთან, ასევე, საეკლესიო და წარმართულ ტრადიციებთან, ისლამურ საკულტო არქიტექტურასთან (Гараканидзе, 1959; სუმბაძე, 1982; ვარშალომიძე, 1979; 2010; ბარამიძე, 2010; ჭიჭილეიშვილი 2010; კვაჭაძე და სხვ.). ზოგიერთი მეცნიერი ეჭვქვეშ აყენებს აჭარის ხის მეჩეთების უნიკალური ხალხური კულტურის ნიმუშებად გააზრებას და ფიქრობს, რომ ასეთი შეხდულება სახელმწიფოს მიერ დაქირავებული საბჭოთა მკვლევარების შედეგებითა და საქართველოს ისტორიის ეთნოტერიტორიული ხედვის მხადაჭერის სურვილით იყო განპირობებული (ჰარის-ბრანდტსი...,2018:5). მეჩე-

თების შესწავლაში გაწეული წვლილის მიუხედავად მათი ხუროთმოძღვრული თავისებურებების, მხატვრული გადაწყვეტის, მრავალფეროვანი ორნამენტული დეკორის გენეზისის, ეროვნული და უცხო ტრადიციების სინთეზის, სინკრეტული ელემენტების შემუშავებისა და განვითარების, კულტურათა დიალოგის საკითები ჯერ კიდევ საგანგებო კვლევის საგანია.

ნაშრომის მიზანს აჭარის ხის მეჩეთების ზოგიერთი მხატვრული თავისებურების, მეჩეთების გარეგნული იერისა და სივრცული გადაწყვეტის ძირითადი ასპექტების წარმოჩენა, ისლამური საღვთისმსახურო მოთხოვნებისა და ქართული ტრადიციების ურთიერთმიმართების საკითხების განხილვა წარმოადგენს.

მეთოდები

კვლევის მეთოდები ეფუძნება სამეცნიერო, ისტორიული, წერილობითი, ვიზუალური, ეპიგრაფიული წყაროების კრიტიკულ ანალიზს, ასევე, აჭარის ხის მეჩეთების ნატურაში კვლევას, ისტორიულ-მხატვრული ღირებულებების წარმოჩენას, ხუროთმოძღვრული გადაწყვეტის, სივრცის სტრუქტურის, ინტერიერისა და ექსტერიერის მხატვრული თავისებურებების ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის მეთოდებს.

შედეგები

ოსმალეთის იმპერიის მიერ დაპყრობილ და დაქვემდებარებულ მხარეებში, ადგილობრივი ოსტატების მიერ, მათთვის ტრადიციული მასალებისა და ტექნიკის გათვალისწინებით, იქმნებოდა დედაქალაქის არქიტექტურის პროვინციული ნიმუშები. აჭარული ხის მეჩეთები - „ჯამეები" ქართულ ტრადიციებთან ღრმად დაკავშირებული ფენომენია. მეჩეთებისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციური ნაგებობების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა ისლამის საკულტო ნიმუშების მოთხოვნებსა და ქართულ, ადგილობრივ ტრადიციებს ეფუძნება. მეჩეთის არქი-

ტექტურა გვაგონებს აჭარული ტიპის „ოდა-სახლს", მისი ექსტერიერი, ფასადების გადაწყვეტა ხასიათდება უბრალოებით. წაბლის ან სხვა ჯიშის ხის მასალის მუქი მონაცრისფრო ან მოყავსიფრო-შავი ტონების ფერადოვნება, ხის ძელების მჭიდრო წყობა, ასიმეტრიულად გაჭრილი სწორკუთხა ფანჯრები, „გადმოფენილი" სახურავი განსაზღვრავს ნაგებობის სპეციფიკურ გარეგნობას. მეჩეთის გეგმას საფუძველად უდევს სვეტებზე დამყარებული სამმხრივი ანტრესოლით შემოსაზღვრული დარბაზის ცენტრის აქცენტირების თემა, რაც ქართული ტრადიციისათვის ნაცნობ კონცეფციას წარმოადგენს. XIX-XX საუკუნეების აჭარის ხის მეჩეთები ეროვნული ხალხური ხელოვნების ტრადიციებსა და თანადროული ხანის ოტომანური ხელოვნების მხატვრული სიახლეებით შთაგონებული ადგილობრივი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული, განსაკუთრებით კი, ლაზი ოსტატატების შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია.

მსჯელობა

ჯამეებისა და მასთან დაკავშირებული ფუნქციური ნაგებობების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ისლამის საკულტო ნიმუშების მოთხოვნებს, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი საცხოვრებელი სახლების, ქართული ხალხური ხელოვნების ტრადიციებს ეფუძნება. ეს ნიშანი მჟღავნდება თითქმის ყველა ნაწილის კონსტრუქციებსა და მხატვრულ ელემენტებში, ნაგებობის გარემოსთან დაკავშირებაში, გარეგნულ იერში, შიდა სივრცის გადაწყვეტაში, თუ ცალკეულ დეკორატიულ მოტივებში (Гараканидзе, 1959: 105-106, таб. 176-182).

მეჩეთები აგებულია საზოგადოებრივი თავშეყრისათვის ხელსაყრელ ადგილებში. საქართველოში თვალსაჩინოა ჯამეებისათვის ადგილის შერჩევისა და ბუნებასთან შერწყმის ტრადიცია. შენობის ირგვლივ, თითქმის ყველგან, დაცულია მწვანე საფარი, ეზო. მისი არქიტექტურა გვაგონებს აჭარული ტიპის

„ოდა-სახლს”, თუმცა, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ქვ-ის საძირკველზე აღმართული მცირე გაბარიტების მქონე ერთი, ორი ან სამსართულიანი შენობა ხასიათდება ერთგვარი ავტონ-ომიურობით. ეს ნაგებობები გარეგნულად არც კი განირჩევა გვ-ერდით მდგომი ვერნაკულარული არქიტექტურის ნიმუშები-საგან. გამონაკლისია მოსახლეობის მიერ აღდგენილი მინარე-თების მქონე მეჩეთები.

კამერული მასშტაბის მიუხედავად, მაღალი ქვის ცოკო-ლზე ან ქვისავე სართულზე დამყარებული ნაგებობა, ვერტიკა-ლური მოცულობრივი სტრუქტურით, გარემოსთან დამაკავ-შირებელი აივნით, ფიცრული კედლის სიბრტყეებით, ხალვა-თად განაწილებული ფანჯრის ღიობებით, დახურული სივრცით აჭარული საცხოვრებელი სახლებისათვის დამახასიათებელი მცირე „ციხესიმაგრის” შთაბეჭდილებას ტოვებს. საცხოვრებელი შენობების ასეთი ერთგვარი „ჩაკეტილობა” ისლამური ქვეყნებ-ისათვის დამახასიათებელი ნიშანია, თუმცა ეს თავისებურება შესაძლოა მთის რეგიონის სპეციფიკითაც იყოს განპირობებული (Гараканидзе, 1959:81-82).

ქართული მეჩეთების მთავარი ფასადი ორიენტირებულია ჩრდილოეთ მხარეს, რაც განსაზღვრულია მექასადმი საქართვე-ლოს გეოგრაფიული მდებარეობით. აჭარის მეჩეთების ექსტე-რიერი, ფასადების გადაწყვეტა ხასიათდება უბრალოებითა და სიცხადით. მთავარი ფასადი თითქმის ყოველთვის გადაწყვეტი-ლია სიმეტრიულად, ცენტრალური ღერძი ხაზგასმულია ნახე-ვარწრიული ქვის კიბით. ფასადის სახასიათო ნიშანია დახურ-ული მოცულობისა და ღია აივნის შეწყმა (კვირიკე - 1860-1862, დაგვისთავი - 1826, უჩხითი - XX საუკუნის დასაწყისი, პირველი მაისი - 1864-1865, ქვედა აგარა-1860-იანი წლები, მეძიბნა-1910, ახო-1817-1818, ნიგაზეული-1922, ჩანჩხალო-1923, ნენია-1891-1892, ჯაბნიძეები-1892-1893, ქიძინიძეები-1867, დღვანი-1907-

1908 და სხვ). საცხოვრებელი სახლისაგან განსხვავებით, აივანი, ერთგვარი დერეფანია (ჰავლი), რომელიც ერთვის მხოლოდ მთავარ ფასადს, ლოჯიის მსგავსად შეჭრილია შენობის მოცულობაში და ასრულებს მოსაცდელის, ლოცვისათვის მოსამზადებელი სათავსის ფუნქციას. შედარებით იშვიათად, გვხვდება მეჩეთები ორივე სართულის დონეზე განაწილებული აივნებით (ჩაისუბნის მეჩეთი - XIX საუკუნის დასასრული) და მეჩეთები აივნის გარეშეც (ქოსოფელი, შუბანი-1887-1888, ზუნდაგა - XIX საუკუნის შუა ხანები, დარჩიძეები-1908, ფუშრუკაული). აივნის მხატვრულ გამომსახველობას განაპირობებს საყრდენი ბოძებისა და რიკულების დახვეწილი ფორმები, მსუბუქი პროპორციები, ორნამენტული ჩუქურთმა, რომელიც ამკობს ბოძების ბაზისებსა და კაპიტელებს. ზოგჯერ ფასადების სართულის გამყოფ ძელებსაც გასდევს მოჩუქურთმებელი სარტყელი. თუმცა, ექსტერიერში გამოყენებული ამ მხატვრული ელემენტების მიუხედავად, მეჩეთების გარეგნული იერი მაინც სისადავით გამოირჩევა (Гараканидзе, 1959:105-106, таб. 180-181).

აჭარაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლების მსგავსად, მეჩეთები, ძირითადად, გადახურულია ოთხფერდა, მკვეთრი შვერილის მქონე, უმთავრესად, კრამიტის სახურავით. წაბლის ან სხვა ჯიშის ხის მასალის მუქი მონაცრისფრო ან მოყავისფრო-შავი ტონების ფერადოვნება, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ძელების მჭიდრო წყობა, ასიმეტრიულად გაჭრილი სწორკუთხა ფანჯრები, „გადმოფენილი" სახურავი და მისგან დაცემული ჩრდილი იდუმალ, მისტიკურ იერს ანიჭებს ნაგებობას. ამ მხრივ გამორჩეული ნიმუშია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემორჩენილი სოფელ კვირიკეს მეჩეთი (1860-1862). შენობის გადახურვის შვერილი კიდეები აქ კრამიტის საყრდენი კოჭებისა და სარტყელის ორმაგ რიგს ემყარება. სახურავის კარკასის მომრგვალებული კუთხეები, კოჭ-

ების რიტმული წყობა, კონსტრუქციულ სიმტკიცესთან ერთად, გამომსახველობას მატებს შენობას. აჭარის კლიმატური პირობებით განპირობებული ეს დეტალი ხელოსნობისა და ხითხურობის მაღალ ტრადიციებზე მეტყველებს. სახურავის კიდეების ასეთივე, მაგრამ უფრო გამარტივებული ფორმები სხვა მეჩეთებზეც დასტურდება (ახო-1818, უჩხითი-1880-იანი, ქოსოფელი, ხოხნა-1899-1990, დარჩიძეები-1908, მაწყვალთა-1842-1843, ნიგაზეული-1922, ქიძინიძეები-1867 და სხვ.). ნაგებობის გადახურვის ანალოგიური ფორმები ფართოდაა გავრცელებული აჭარული და ლაზური ტიპის საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო შენობებზე. საბჭოთა პერიოდის ანტირელიგიური პროპაგანდის შედეგად, არ შემორჩა XIX-XX საუკუნეების მეჩეთების თავდაპირველი მინარეთები, რომლებიც სალოცავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დომინანტური, რელიგური იდენტობის გამომხატველი ელემენტია და ხასიათდება მკვეთრად მაღალი, ზემსწრაფი პროპორციებითა და ვიწრო, მომრგვალებული, კონუსური, „კარვისებური“ გადახურვის მქონე ფორმებით.

მეჩეთში შესასვლელი მთავარი კარი ფასადის ყველაზე გამომსახველი დეტალია. ორნამენტული კვეთით უხვად შემკული კარით იწყება მხატვრულად მორთული შიდა სივრცის აღქმა. სამლოცველო დარბაზი, თავისი ხატოვანი გადაწყვეტით, არქიტექტურულ კონსტრუქციებსა და სარიტუალო ფორმებზე ხალიჩისებურად განაწილებული კვეთილი ჩუქურთმებით, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით, ფერადოვანი მხატვრობით ერთგვარ მიწიერ სამოთხედ გაიაზრება (ვარშალომიძე, 2010:427-428). ინტერიერის აუცილებელი სარიტუალო არქიტექტურული ფორმებია, ქიბლის ცენტრში მდებარე, მექის მიმართულების აღმნიშვნელი მიჰრაბი და პარასკევისა და სადღესასწაულო ქადაგების წარმოთქმისათვის განკუთვნილი მინბარი. სამლოცველო დარბაზის („ჰარიმი“) აუცილებელი ატრიბუტია მცი-

რე მერხი - ქურსი, რომელიც ზოგჯერ სვეტზეა დამაგრებული (ახო-1818, ქვედა აგარა-1860-იანი, ცხმორისი-1891-1892, ჯაბნიძეები-1892-1893, შუბანი - 1887-1888 და სხვ.) ან კედელთანაა მიდგმული (გეგელიძეები-1880-1900, ხოხნა - 1899-1900 და სხვ.).

მეჩეთის გეგმის საფუძველს წარმოადგენს, ძირითადად, სამმხრივი ანტრესოლით, გალერეით („მაჰფილი“) შემოსაზღვრული დარბაზი, რომლის ცენტრალური ვერტიკალი ყოველთვის აქცენტირებულია ჭერის კონსტრუქციით. ზოგჯერ ანტრესოლის უხვად შემკული ვიწრო ზოლი გადადის ქიბლის კედელზეც, რის შედეგად გალერეა ოთხმხრივ მოხაზულობას იძენს. სივრცის პლასტიკური ელემენტები - სამმხრივი ანტრესოლი თავისი მძლავრად შვერილი სწორკუთხა ან ნახევარწრიული ფორმის ცენტრალური აივნითა და ფანჯრების განაწილებით შექმნილი განათების სისტემით, ისლამური არქიტექტურის სხვა ნიმუშების მსგავსად, ხელს უწყობს მექასკენ ორიენტირებული ქიბლის კედლის აქცენიტრებას. სამხრეთი კედლის მხატვრულ-აზრობრივი კომპონენტის - მიჰრაბის თაღოვანი შემკულობა, ზოგ შემთხვევაში, მსგავსებას საცხოვრებელი სახლების ბუხრების გაფორმებასთანაც იჩენს (Гараканидзе, 1959: рис. 2, 44).

მეჩეთის საღვთისმსახურო ფორმების კანონიკური მოთხოვნები, კომპოზიციური აქცენტების, განსაკუთრებით კი, მიჰრაბის ხაზგასმა, განათებისა და ქიბლის კედლის საერთო დეკორის ერთიან სისტემაში ჩამოყალიბება ქართული ტრადიციისათვის დამახასიათებელი ფორმებით გაიაზრება. ჯამეეების სამხრეთი კედლის მხატვრული გადაწყვეტა ანალოგიას აჭარული სახლის ინტერიერის და მესხური „დარბაზის“ სტრუქტურასთან ამჟღავნებს, რომლის სივრცეში წამყვანი როლი კარადებით ან თახჩებით შემკულ ბუხრიან კედელს ენიჭება. ბუხარი წარმოადგენს სახლის „საკრალურ კერას“, მხატვრულ ცენტრს, რომლის ხაზგასმას ემსახურება კედლის მხატვრული გადაწყვეტის თით-

ოეული კომპონენტი. ასეთივე საკრალური მნიშვნელობისაა ქიბლის ცენტრში მდებარე, მლოცველის მთავარი ორიენტირი - მიჰრაბი. ზოგჯერ მიჰრაბის ერთ ან ორივე მხარეს იატაკიდან შემაღლებული საფეხური და თაღოვანი ანტაბლემენტის მქონე ნიშებია მოწყობილი (ხოხნა - 1899-1990, ჩიქუნეთი - 1838, პირველი მაისი-1864-1865, მეძიბნა - 1910, ქვედა აგარა - 1960-იანი წლები და სხვ.), რაც, თავისი შემკულობით ხაზს უსვამს ქიბლის კედლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

შიდა სივრცის ორი ძირითადი კომპარტიმენტი - სამლოცველო დარბაზი და მეორე სართულის გალერეა გადახურულია ჭერის დიფერენცირებული კონსტრუქციებით: ანტრესოლის გადახურვას ქმნის დეკორატიული კანტებით ხაზგასმული ბრტელი კვადრატული და სწორკუთხა პანელების მონაცვლეობა, ხოლო დარბაზის ცენტრი, თითქმის ყოველთვის, აქცენტირებულია ნახევარსფერული გუმბათით ან „გვირგვინით“ - კესონურ-ხონჩისებური თავანით, რომლებსაც მდიდრული შემკულობა, ორნამენტული ჩუქურთმა და ფერწერული დეკორი გამოარჩევს. აჭარის ხის ჯამეების ჭერის კონსტრუქცია ხითხუროობის მაღალ დონეს, ტრადიციების უწყვეტობას, მხატვრული ფორმების შემუშავებისადმი შემოქმედებით მიდომასა და ფორმათა მრავალფეროვნებას გვიჩვენებს.

გადახურვის ერთ-ერთი სახეა თავანის კვადრატის ცენტრში განთავსებული ნახევარსფერული გუმბათი, რომელიც ანტრესოლის სვეტებზე დამყარებულ შეკიდულ ჭერშია მიმალული. შედარებით იშვიათად, დარბაზის კვადრატის ცენტრის აღმნიშვნელი გუმბათი იატაკის დონიდან აღმართულ 4 სვეტს ემყარება (მარადიდის ქვის მეჩეთი - 1914). თავანის გუმბათოვანი ფორმები ახასიათებს ქოსოფლის, ცხმორისის (1891-1892), უჩხითის, ზუნდაგას (XIX ს-ის II ნახევარი), ჭვანას (1894-1895), ნიგაზეულის, დღვანის, ფურტიოს (1894-1895), რიყეთის (1918), დანისპა-

რაულის (XX ს-ის დასაწყისი), პაქსაძეების (XIX ს), დაგვისთავის, ზოტის (1905-1907) და სხვა მეჩებს (ბარამიძე, 2010). ხშირად გუმბათის წყობა მხოლოდ ფიცრულია, მაგრამ მაინც მაღალ სამშენებლო კულტურას გვიჩვენებს. ზოგჯერ გუმბათის ძირს გასდევს მოჩუქურთმებული სარტყელი (დაგვისთავი, ცხმორისი, ჭვანა, ნიგაზეული, ფურტიო, დღვანი და სხვ.).

გამომსახველობით გამოირჩევა ქვედა აგარის მეჩეთის (1860 -იანი წლები) გადახურვა - სხვადასხვა რიტმული წყობის ვიწრო არშიებიანი პანელებითა და თავანის გუმბათით. გუმბათი ჩასმულია მოჩუქურთმებული წრეების მოტივთა ჩარჩოში, მის ფუძეს ქმნის ორნამენტული დამოუკიდებელი სწორკუთხა ფილებისაგან შემდგარი სარტყელი, ხოლო გუმბათის ნახევარსფერო მოჭედილია კეხის „ვარდულიდან“ დაშვებული, დინამკური სტრუქტურის მქონე ხის კანტებით, „სხივებით”. გუმბათის ასეთი გადაწყვეტა ქართველი ხითხუროების მაღალ სადურგლო ოსტატობასა და მხატვრულ გემოვნებას მოწმობს.

საინტერესო ფორმას გვიჩვენებს დარჩიძეების მეჩეთის თავანის გადახურვა, რომელსაც შეიძლება „საფეხურებიანი გუმბათი” ეწოდოს. კვადრატის ცენტრში გამართული გუმბათის ნახევარსფერო შედგენილია ჭერის სიღრმეში შეჭრილი და პირამიდულად შემცირებული წრეებისაგან, რომლის თითოეული საფეხური დამოუკიდებელი ორნამენტული მოტივებითაა შემკული. გუმბათის ცენტრს ასრულებს ვარდული. გუმბათის ეს ფორმა „კვადრატულ პირამიდული გვირგვინის“ („კიბურ გვირგვინოვანი“) გადახურვის პრინციპით უნდა იყოს შთაგონებული.

კვადრატის გადახურვის განსხვავებული ფორმაა გამოყენებული კვირიკეს ჯამეს ინტერიერში. მის დომინანტს ქმნის ე.წ. „საფეხურისებური ცრუ გუმბათი“, რომელიც ამოყვანილია „გვირგვინის“ პარალელური რიგების თანმიმდევრული წამოწევით შუაგულისაკენ. კონსტრუქციის მხატვრული სტრუქტურა

ეფუძნება კვადრატული სიბრტყეების პროპორციული შემცირებისა და სიღრმეში საფეხურებრივი წამოწევის პრინციპს, რომლის შედეგად ჭერი იღებს პირამიდულ ფორმას. თითოეული კვადრატი აქცენტირებულია დეკორატიული კარნიზით, შუა კვადრატს კი ასრულებს ვარდული. გადახურვის ამ ფორმის საყურადღებო და გამომსახველი დეტალია გვირგვინის ფონად ლურჯი ფერის ქსოვილის გამოყენება, რაც, ასევე, დასტურდება სამხრეთ საქართველოს (აჭარა, თრიალეთი) ხალხურ ხუროთმოძღვრებაში (ვარშალომიძე, 2009:426). კვირიკეს მეჩეთის პარალალური წყობის ოთხკუთხა გადახურვა გამოძახილს პოვებს ქართული დარბაზის „გვირგვინის“ წყობასთან, რომელიც თავის საწყისებს უძველეს ხანაში იღებს. ანალოგიური ჭერის დეკორი გვხვდება გოგაძეების მეჩეთში (1874-1875 წწ). ხოხნას ჯამეში კი გამოყენებულია თავანის პარალელურ კვადრატული „გვირგვინი“ ცენტრში რვაწახნაგა კესონითა და ვარდულით. კიბურ-კვადრატული პარალელური წყობისაგან განსხვავებით, შუბანის, ჯაბნიძეების, ნენიის, პირველი მაისის, გოგინაურის და სხვ. მეჩეთებში დასტურდება დარბაზის ცენტრალური ნაწილის რვაწახნაგა კესონის ფორმები. ჩიქუნეთისა და ბეღლეთის (XIX საუკუნის დასაწყისი) მეჩეთბში კი გვხვდება შედარებით განიერი, საფეხურისებური, „ბრტყელ-კასეტური“ (ხონჩისებური) თავანები.

აჭარის ხის ჯამეებში სამლოცველო დარბაზების ცენტრი ძირითადად ერთი გუმბათით ან ერთი კესონითაა აქცენტირებული, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, ღორჯომის (1902 წელი) მრავალგუმბათოვანი თავანის სახით, რომლის კვადრატულად დაყოფილი ჭერის კონსტრუქცია ითავსებს ნახევარსფერულ გუმბათებსა და რვაწახნაგა კესონისებურ ფორმებს (ჰარის ბრანდტსი..., 2018:122-130). განსხვავებით სხვა მეჩეთებისაგან, მისი თავანის ცხრა ნაწილად გაყოფილი დარბაზის

ჭერის კონსტრუქცია სვეტებს უჭირავს, ცენტრალური, განიერი გუმბათის ოთხივე მხარეს მცირე მოცულობის ოთხი გუმბათი და კიდეების ოთხი რვაწახნაგა კესონია, რაც თავის მხრივ, ქართველი ოსტატების შემოქმედებითი თავისუფლებასა და არტისტიზმს ადასტურებს.

ამდენად, ავთენტური ნიმუშების საფუძველზე ირკვევა, რომ აჭარის ხის ჯამეების ჭერის კონსტრუქცია ხასიათდება მრავალფეროვნებით, გუმბათებთან ერთად გვხვდება კესონური - „გვირგვინისებური“ და განიერი, „ბრტყელ-კასეტური“ („ხონჩისებური“) ფორმები. მეჩეთების აგების თარიღებისა და ქრონოლოგიის გათვალისწინებით, თავანის განსხვავებული სახეები ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობს.

გეგმარების, ინტერიერის სტრუქტურისა და დარბაზის გადახურვის ანალოგიური ფორმები გვხვდება ისტორიული ტაოკლარჯეთის მეჩეთებშიც. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მეჩეთები წარმოადგენენ ქვით ნაგებ მასშტაბურ ნაგებობებს, კვადრატული გეგმით, შიდა ანტრესოლით, ხის ჭერითა და მოჩუქურთმებულ-მოხატული დეტალებით. აქ სამლოცველო დარბაზის გადახურვა, ძირითადად, გუმბათოვანია, თუმცა ხარჯამის მეჩეთის შესასვლელის დეკორში ფიქსირდება მესხური ტრადიციული საცხოვრებლის გვირგვინოვანი გადახურვაც (მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში, 2022:64, 72-73).

მეჩეთის სალოცავი დარბაზის გადახურვის მთავარი მოტივის, „გვირგვინისებური“, კესონისებური ჭერის იდეა მომდინარეობს ქართული ტრადიციული საცხოვრებლის „დარბაზის“ თავანის ფორმებიდან. საცხოვრისის ამ ტიპში გამოყენებული ერდოთი გახსნილი გვირგვინოვანი გადახურვა შემორჩენილია ქართლში, თრიალეთსა და სამცხე ჯავახეთში. ცნობილია, რომ ხის გვირგვინოვანი გადახურვა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ მსოფლიოში კორეიდან - ეგეოსის ზღვის ნაპირებამდე

(აზერბაიჯანი, სომხეთი, ტაჯიკეთი, პამირი, ინდოეთი, ირანი, აბისინია), მაგრამ ინტერიერის მოწყობისა და გადახურვის, გვირგვინთა ფორმა-სიმაღლეების ნაირსახეობის მიხედვით, ყველაზე მრავალფეროვანი სურათი სწორედ საქართველოშია წარმოდგენილი (ჩიქოვანი, 1960:101-102, 112). აჭარის ხის ჯამეებში გამოყენებული თავანის ფორმები საწყისებს უძველეს წარსულში იღებს. კოლხეთის მიწაზე ამ კონსტრუქციის არსებობა 2000 წლის წინ ფიქსირებულია ვიტრუვიუსის ტრაქტატში „ათი წიგნი ხუროთმოძღვრებაზე“. მართალია, მის მიერ აღწერილმა ხის ძელოვანმა „გუმბათმა“ ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ მოიპოვება ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ადასტურებენ ამგვარი კონსტრუქციის არსებობას დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, ჩოლოქში აღმოჩენილი ძვ.წ. X ს-ის ხის სახლის ნაშთები ადასტურებს ვიტრუვიუსის ცნობათა სარწმუნოებას (ყიფიანი, ამაშუკელი, 1995:10). ვიტრუვიუსის თანახმად, „კოლხური სახლის“ ზედა სტრუქტურა მორების პარალელური წყობით შედგენილი „ცრუ კამარაა“, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია კერის არსებობასთან. ერდო, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. III ათასწლეულებიდან დასტურდება, დაკავშირებულია საოჯახო კერის უძველეს წარმოდგენებთან და რიტუალებთან. ე.წ. გვირგვინული გადახურვა ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთის ტერიტორიაზე. მის არსს კი განაპირობებდა კერის ფუნქციონირება. „კოლხური“ სახლის ტრადიციები გამოძახილს პოვებს აჭარის ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ, ჯამეების თავანის მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტაში. ეს ეხება არა მხოლოდ აჭარული ჯამეების ცრუგვირგვინისებურ ან გუმბათოვან ჭერს, არამედ საფეხუროვანი, კასეტისებური ჭერის კონსტრუქციასაც, რომელიც ზუსტად იმეორებს „კოლხური სახლის“ წყობას და წარმოადგენს მის ახლებურ მხატვრულ გადააზრებას (სუმბაძე, 1982: 69-71). თუმცა ნიშანდ-

ობლივია ის, რომ გადახურვის ამ სახეებმა ნაწილობრივ დაკარგა თავისი კონსტრუქციული არსი, შეიძინა დეკორატიული ელემ-ენტის მნიშვნელობა და იქცა ეროვნული ტრადიციების გამო-ხატულებად. ამდენად, უძველესი „კოლხური“ საცხოვრებლის გადახურვის სისტემა, რომელიც აღწერილია ანტიკურ ტრაქტ-ატში და რომლის ანარეკლი მოიპოვება დღეს ეთნოგრაფიულ მასალებში, კარგადაა შემორჩენილი აჭარული ჯამეების გადახ-ურვაში (Гараканидзе, 1959:136).

აღსანიშნავია, რომ გვირგვინისებური ჭერის დეკორატ-იული ფორმები, ასევე, დასტურდება XIX-XX საუკუნეების დას-ავლეთ საქართველოს (აჭარა, სამეგრელო) საცხოვრებელი სახ-ლების არქიტექტურაში (სოფელი ქედლები, ბზუბზუ, სარფი, დიდაჭარა; ქალაქები წალენჯიხა, სენაკი, ზუგდიდი). გურიისა და სამეგრელოს საცხოვრებელ სახლებში, ასევე, დასტურდება გუმბათოვანი თავანის მქონე სასტუმრო ოთახები: სოფელ ბუკი-სციხე, ორსანტია, ხიდისთავი (Гараканидзе, 1959, таб. 78-79,81, 83-85, 87,116-120,125,127; ჭიჭილეიშვილი, 2015:120-121). საქართ-ველოს ხის საეკლესიო არქიტექტურაში კი, გამოყენებულია ფი-ცრებით გამოყვანილი მრუდი ფორმები - კონქები და კამარები, რაც მეჩეთების მხატვრულად გადაწყვეტილ გუმბათებთან ერ-თად, ხალხური ხითხუროობის ტრადიციულ მიდგომას ადასტ-ურებს (Гараканидзе, 1959: 103-104, т. 167, 171-172).

ამდენად, აჭარის მეჩეთების ინტერიერის გადაწყვეტა ეფუ-ძნება სივრცის აპრობირებულ კონცეფციას - კვადრატზე დამყ-არებული „გუმბათის“ თემას, რაც შუა საუკუნეების ქრისტიან-ული არქიტექტურის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. ცნო-ბილია, რომ ქართული ტაძრების ცენტრს ქმნის გუმბათით და-გვირგვინებული კვადრატი, რომლის გარშემო ვითარდება ჯვრ-ისებრი გეგმა. კვადრატზე დამყარებული გუმბათის თემა გენეტ-იკურად დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ანალოგიური სტრუ-

ქტურის არსებობასთან წინა-აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტე-ქტურაში და, მეორე მხრივ, წინაქრისტიანული პერიოდიდან მო-მდინარე ქართული საცხოვრისის ტრადიციებთან (ბერიძე, 1974: 19). მეჩეთების საღვთისმსახურო რიტუალისა და გეგმის ძირ-ითადი მოთხოვნები, რაც სვეტებზე დამყარებული გალერეებით შემოსაზღვრული, ერთიანი, ცენტრის აქცენტირებით წარმოდგე-ნილი სამლოცველო დარბაზის მოწყობას გულისხმობდა, ქართ-ული არქიტექტურისათვის ნაცნობი კონცეფცია იყო. ჯამეების სამხრეთი კედლის მხატვრული გააზრებაც აჭარული სახლის ინტერიერის, ასევე, მესხური „დარბაზის“ სტრუქტურასთანაც პოვებს სიახლოვეს, რომლის სივრცეში წამყვანი როლი კარა-დებითა და თახჩებით ფლანკირებულ ბუხრიან კედელს ენიჭება. ჯამეს „საკურთხევლის“ კედლის კომპოზიცია - მიჰრაბის დომ-ინანტური მნიშვნელობა, სარიტუალო ელემენტების ხაზგასმ-ული ხატოვანება საცხოვრებელი სახლის ბუხრის, როგორც „საკ-რალური კერის“ და მასთან დაკავშირებული კომპონენტების მხატვრული მორთვის პრინციპითაა ნასაზრდოები (Гараканидзе, 1959: 88).

ცნობილია, რომ ოსმალურ არქიტექტურაში მიმარ კოჯა სინანის (Mimar Koca Sinan) (1489-1588) მიერ შემუშავებული მეჩეთების კომპლექსების არქიტექტურული გადაწყვეტა გამოხა-ტავდა ტერიტორიულ თავისებურებებს, იდენტობას, მეხსიერე-ბას, დეკორის იმ სახეებს, რაც, თავისი სახვითი მრავალფერ-ოვანი კომბინაციით, მანამდე შეუცნობელ შინაარსს სძენდა მის ქმნილებებს. მიმარ სინანის მეჩეთების ტიპოლოგია ეფუძნებოდა შუქით სავსე ცენტრალიზებული გუმბათებიანი სივრცეების კო-ნცეფციას, რაც ასახულია პროვინციულ ისლამურ ნიმუშებშიც. სულთნის არქიტექტორებს, მათ შორის სინანს, შემუშავებული ჰქონდათ ტიპური გეგმები, რომელთა განხორციელება შესაძლ-ებელი იყო ოსმალეთის მრავალენოვანი და მრავალკონფესიური

მოსახლეობისათვის აპრობირებული მასალების, ტექნიკისა და მხატვრული ტრადიციების გათვალისწინებით. თანადროული ოსმალური და ადგილობრივი ვერნაკულარული მხატვრულ-კონსტრუქციული ფორმების გამოყენება კი, თავის მხრივ, განსაზღვრავდა მეჩეთების სინკრეტულ ხასიათს.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო ნიმუშები ფიქსირდება თურქეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, განსაკუთრებით იმ ტერიტორიებზე, რომლებიც XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ოსმალთა დაპყრობითი ლაშქრობების შემდეგ, საქართველოს ჩამოშორდა - სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, კოლა, არტაანი, ჩრდილი, ერუშეთი, სპერი, ტაო, კლარჯეთი და ჭანეთი. ისლამიზაციის პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან (მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში, 2022:8).

ხის მეჩეთები ფართოდ იყო გავრცელებული ტყეებით მდიდარ ანატოლიის რეგიონში. ხის სვეტებიანი და ხის ჭერიანი მეჩეთები თურქეთის ძველ ქალაქებში ყარახანიდების ეპოქიდანაა ცნობილი (840-1042). ხის სვეტებიანი მეჩეთები დასტურდება სელჩუკების პერიოდშიც (1077-1130), მაგრამ ამ ტიპის ნაგებობებმა უფრო ფართო გავრცელება ოსმალეთის იმპერიის ხანაში ჰპოვა. აღნიშნული რეგიონის ხის მეჩეთები ლურსმნების გარეშე ნაგები შენობებია, ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევარ ეკრემ ჰაკი აივერდის მიერ დამკვიდრებული ტერმინით - „Çandı“ (çantı)“ მეჩთების სახლწოდებითაა ცნობილი. ხის, ე.წ. „Çandı“ წყობით ნაგები მეჩეთები გვხვდება შავიზღვისპირეთის რეგიონის მსხვილი ქალაქების - სამსუნი, სინოპი, კოჯაელი, დუზჯე, კასტამონუ, ორდუ, გურესუნი, რიზე, ტრაპიზონი და ართვინის მიდამოებში (Erarslan, 2022:105-106).

ტოპოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ნაგებობები განთავსებულია ფერდზე. ზოგჯერ მეჩეთები აღმართულია ქვით ნაგებ საძირკველზე, ზოგიერთი კი სარადფის გარეშე დგას

პირდაპირ მიწაზე. ორ ან სამსართულიან ნიმუშებში პირველი სართული გამოყენებულია მედრესედ. ზოგჯერ მედრესეები განლაგებულია მეჩეთის გვერდით მდებარე ცალკე შენობებში. მეჩეთებში, ისევე, როგორც აჭარის ჯამეებში, მნიშვნელოვანია ქიბლის მიმართულების დაცვა, მთავარი ფასადისა და შესასვლელის ორიენტირება ჩრდილოეთის მხარეს. გეგმისა და სივრცის გააზრების თვალსაზრისით აქაც თვალსაჩინოა ნახევრადღია და დახურული სივრცეების შერწყმის კონცეფცია. გეგმის ძირითადი კომპონენტებია სალოცავი დარბაზი (*harim),* მეორე სართულის გალერეა - ე.წ. მაჰფილი (*mahfil),* მსგავსია სარიტუალო მცირე არქიტექტურული ფორმების (მიჰრაბი, მინბარი, ქურსი) განთავსების პრინციპი. ექსტერიერს, ძირითადად, ახასიათებს ღია, სვეტებიანი პორტიკი და გვერდითი გალერეები (*revaq),* გარე ან დახურული სივრცეები *(son cemaat revag ʿı)* დაგვიანებულთათვის. მეჩეთი გალერეებითურთ გადახურულია თურქული სტილის კრამიტით დაბურული ოთხფერდა სახურავით (Erarslan, 2022:112-113).

მსგავსი გეგმარებითი სტრქუტურა ახასიათებს სამსუნის კავაკის რეგიონში დადასტურებულ ხის ე.წ. „ჯუმა“ მეჩეთებს (ბეკდემირი-1596-1599, თათრმუსლუ -XVIII ს., დერე, ჩაკალი - XIXს. და სხვ.), რომლებიც აგებულია ადგილობრივი მორწმუნეთათვის პარასკევის, ასევე რელიგიურ დღესასწაულების ლოცვებსა და დაკრძალვის რიტუალებზე დასასწრებად. „ჰარიმის“ შემომსაზღვრელი შიდა გალერეა, ზოგჯერ, წარმოდგენილია ოთხმხრივი, სამმხრივი და ერთმხრივი ანტრესოლების სახით (Uzun, Çiftçi, 2017:322-333). კავაკის რეგიონის ზოგიერთი მეჩეთის (ბეკდემირი, კოსაჯა) თავისებურებაა ინტერიერის უხვი შემკულობა - ჩუქურთმით მორთული კესონირებული ჭერითა და ორნამენტული დეკორით. რიზეს რეგიონის ნიმუშებს (არდაშენ დოღანაი - 1829–1830, ფინდიკლი მეივალი-1871–1872, გიუ-

ნეისუ ჩამლიჯა - 1862, კალანდერე ხუსინ ხოჯა - 1834, ხემშინ ბილენქოი - XVIII ს და სხვ.) ახასიათებს გეგმისა და სივრცის საერთო კონცეფცია, სამლოცველო დარბაზის გუმბათოვანი და უგუმბათო თავანები, რომელთაგან სჭარბობს ბრტყელი ან კესონური ფორმები (გუმბათოვანი თავანი აქვს არდაშენ დოღანაი ჯამეს, ბრტელ-კესონური გადახურვის სახეები გვხვდება ჯამეებში - მეივალი ფინდიკლი, ჩაიელი ჩეშმელი, ჩამლიჰემშინ შენკოი, კალანდერე ჰუსინ ხოჯა, იკიზდერე შიმშირლი და სხვ.). ექსტერიერის ძირითადი სახასიათო თავისებურებაა ხის მოაჯირებიანი აივნები, ორსართულზე განაწილებული ორფრთიანი ფანჯრები, ტერასები, ფუნქციურად აქცენტირებული ჩრდილოეთი ფასადი (Azizsoy, Özkurt, 2021:888-890). ტრაპიზონის, ჩაიკარას ოლქში, შემორჩენილ XIX საუკუნის ჯამეებსაც (ტაშორენ ქოიუ ჯამე, უზუნგოლ-ფილაკ ჯამე, დერნეკფაზარი იუკან კონდუ ჯამე და სხვ.) გამოარჩევს ხისა და ქვის მასალების შერწყმის პრინციპი, სივრცის საერთო კონცეფცია, ინტერიერის, კარის, მიჰრაბისა და მინბარის, დარბაზის ჭერის დეკორატიული გადაწყვეტა, თავანების გუმბათოვანი ან კესონირებული ფორმები, სვეტების, გალერეის მოაჯირების ორნამენტული „ნაქარგებით“ შემკობა (Zorlu, 2017: 58-67).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღნიშნული რეგიონული ნიმუშები ადასტურებენ, რომ მეჩეთების სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა ემყარებოდა ისლამის საღვთისმსახურო კანონიკით შემუშავებულ ნორმებს, თუმცა მშენებლობის ტექნიკა, მასალა და ფორმათა მხატვრული გააზრება, შესრულების მეთოდები, ორნამენტული მოტივების რეპერტუარი გამოხატავდა რეგიონული არქიტექტურის ტიპოლოგიურ, ადგილობრივ თავისებურებებს.

აჭარის ხის მეჩეთების გეგმარებისა და სივრცის სტრუქტურა ისლამური რელიგიური მოთხოვნებითაა განპირობებული.

სივრცის კონცეფცია, ცენტრალური დარბაზის აქცენტირების თემა და მხატვრულ-კონსტრუქციული თავისებურებები ნასაზრდოებია ქართული სახლთმშენებლობის ტრადიციებით, რაც გამოვლინებას პოვებს შენობის ფასადებსა და ინტერიერში გამოყენებულ მხატვრულ ფორმებში (სვეტები, აივნის მოჯირები, ჭერის შემკულობა, ორნამენტული მოტივები). მეჩეთების მხატვრული დეკორი, საუკუნეების წიაღიდან მომდინარე ქართული ქვისა და ხის არქიტექტურის ჩუქურთმის სახეებსა და თანადროული ხანის ოსმალური, ასევე, ევროპული ხელოვნების გავლენებით შემუშავებულ დეკორატიულ ელემეტებსა და მოტივებს შეიცავს, რაც ამ ნიმუშების მრავალფეროვნებასა და სინკრეტულ ხასიათს უსვამს ხაზს.

ქართული საისტორიო წყაროებით, წარწერებით, გადმოცემებით დადასტურებული ფაქტია, რომ საქართველოში (აჭარასა და სამცხე ჯავახეთში) მეჩეთებს, ძირითადად, ლაზი ოსტატები აგებდნენ. სარწმუნოა, ასევე, ისიც, რომ მათ მშენებლობასა და დეკორით შემკობაში აჭარის ადგილობრივი, მკვიდრი ოსტატებიც იყვნენ ჩართული, თუმცა ე.წ. „ბაშ-უსტის“, მთავარი ხელოსნის „სტატუსი“, ძირითადად, ლაზ ოსტატებს ენიჭებოდათ (ვარშალომიძე, 1979:33). მეჩეთებზე დაცული არაბული წარწერები შეიცავენ ცნობებს ოსტატთა შესახებ: დაგვისთავის მეჩეთში მოხსენიებულია არჰაველი ლაზი ოსტატი ხასან ოღლი უსტა (1826), ზუნდაგას მეჩეთი (1860-იან წლებამდე) ლაზი ოსტატის უსტა ყაბაზი ახმედისა და ადგილობრივი ოსტატების - ქაჯაიას, გოგიტიძისა და თურმანიძის მიერაა აშენებული, ფურტიოს მეჩეთის მშენებელია ლაზი უსტა (ოსტატი) ომერ ყუროღლი (1894-1895), ნენიის მეჩეთისა - ხასან უსტა (1891-1902), ხოხნას მეჩეთის (1899-1900) საძირკველი ლაზი, ხოლო შენობა ადგილობრივი ოსტატების ხასან და რესულ ქაჯაიების მიერაა აშენებული, ღორჯომის მეჩეთი აუგიათ ლაზ ოსტატებს ომერ

უსტა და უსტა ბინ აჰმედს (1902), დღვანის მეჩეთი აგებულია ომერ ბინ ახმედ ლაზისტანელის მიერ (1907-1908); შავშეთიდან მოსული ოსტატების ქმნილებაა დარჩიძეების (1908), ნიგაზეულის, სოფელ ჩაოს მეჩეთები (1900-იანი წლების დასაწყისი) და სხვ. (მუსლიმური თემი..., 2010:217-2018). სამცხე-ჯავახეთის მეჩეთების მშენებლობაშიც ლაზი და ადგილობრივი მესხების ხელწერა იკითხება - ზიკილიისა და ვალეს მეჩეთებში შემორჩენილი წარწერებით ეს ჯამეები არხაველ ლაზ ძმებს, მუსა და ალი უსტებს აუგიათ, მათი მამა კი განთქმული ხითხურო, ჰასან უსტა ყოფილა. ასევე, გადმოცემებით დასტურდება, რომ მესხეთის მეჩეთების მშენებლობაში მუსლიმ მეზობლებს ქრისტიანებიც ეხმარებოდნენ, როგორც ფიზიკურად, ასევე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით, ეკლესიის აშენებაში კი, ადგილობრივ მუსლიმებსაც შეჰქონდათ წვლილი (მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში, 2022:13, 14,75).

ლაზების სამშენებლო მოღვაწეობის კვალი საქართველოს სხვადასხვა მხარეების (აჭარა, გურია, სამეგრელო, მესხეთი, თრიალეთი) საცხოვრებელი სახლების მშენებლობაშიც დასტურდება. ქართველური მოდგმის ეთნიკური ჯგუფი - ლაზები, ანტიკური ხანიდან მოყოლებული, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიებზე იყვნენ განსახლებული (ტრაპიზონის, რიზეს მხარე, ჭოროხის დასავლეთ ტერიტორიები). ამჟამად, ისტორიული სამხრეთ საქართველოს უმეტესი ნაწილი, მათ შორის ჭანეთ-ლაზეთი, დღეისათვის თითქმის მთლიანად თურქეთის შემადგენლობაშია მოქცეული. საქართველოს შავიზღვისპირეთში კი ლაზური ტერიტორიის მხოლოდ ერთადერთი განაპირა სოფლის - სარფის ნაწილია დარჩენილი (სარფი, 2015:5, 10, 68-69). ქართული ნიმუშებისა და აღმოსავლეთ თურქეთის რეგიონების (ართვინის, რიზეს, ტრაპიზონის, სამსუნის მხარეები) მეჩეთების მხატვრული გადაწყვეტისა და დეკორატიული

ელემენტების მსგავსება, არა მარტო სარიტუალო წესების საერთო პრინციპებით, არამედ, ლაზი და საქართველოს სხვა მხარეებიდან მოსული „მოგზაური“ ოსტატებისთვის ტრადიციული და თანადროული მხატვრული ფორმების ცოდნითა და შემოქმედებითი გააზრებით იყო განპირობებული.

დასკვნა

XIX-XX საუკუნეების აჭარის მეჩეთები ეროვნული ხალხური ხელოვნების ტრადიციებსა და თანადროული ხანის ოტომანური ხელოვნების მხატვრული სიახლეებით შთაგონებული ადგილობრივი და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული, განსაკუთრებით კი ლაზი ოსტატების შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია. ოსმალეთის იმპერიული მმართველობის მიზანს ასიმილაციური პოლიტიკის გატარება, მრავალეროვანი და მრავალკონფესიური ქვეშევრდომების გაერთიანება და დაქვემდაბარება წარმოადგენდა. გარკვეულ ეტაპზე, რელიგიური მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული მეჩეთების მშენებლობა, იმპერიის რეგიონებისათვის ტრადიციული მასალებით, სამშენებლო ტექნიკისა და მხატვრული ხერხების საფუძველზე მიმდინარეობდა. აჭარის მეჩეთების მაგალითზე ნათელია, რომ მათი მიმზიდველობა და უნიკალურობა ნაგებობის არქიტექტურულ-სივრცული და დეკორატიული გადაწყვეტის, როგორც მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიციების, ასევე, თანადროული ოსმალური მხატვრული ფორმების სინთეზითაა განპირობებული. XIX და XX საუკუნის დასაწყისის მეჩეთების არქიტექტურის მხატვრული ფორმის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ისლამური სალოცავების იდეური და საღვთისმსახურო მოთხოვნები ქართველი ოსტატების მიერ შემოქმედებითად იქნა გააზრებული. სიახლეების დანერგვას ხელს უწყობდა ისიც, რომ, ტიპური გეგმებისა და სარიტუალო ფორმების გარდა, დასაშვები იყო ადგილობრივი მასალების, მხატვრ-

ულ-კონსტრუციული ფორმების, საეკლესიო არქიტექტურული და ვერნაკულალური დეკორის ელემენტების გამოყენება, რაც შემოტანილ მოტივებსა და ფორმებთან ერთად განსაზღვრავდა ამ ძეგლების გამომსახველობასა და მრავალფეროვნებას. ეროვნულმა სამშენებლო კულტურამ, ხალხურმა ხელოვნებამ, დროთა განმავლობაში, ადგილობრივ ნიადაგზე შემოქმედებითად გადაამუშავა და გაითავისა უცხო ეთნიკური და რელიგიური მოტივები და ქართული, კონკრეტულად კი, აჭარული ხით ნაგები მეჩეთების სახით, შექმნა ნაცნობ კონცეფციასა და მრავალფეროვან ფორმათშეგრძნებაზე დამყარებული უნიკალური ნიმუშები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ადამია, ი. (1956). *ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება* (აჭარა), თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

ბაგრატიონი, ვ. (1941). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ადამია, ი. (1967). *ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში,* „ძეგლის მეგობარი“, № 12, გვ. 3-12, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ბერიძე, ი., ბლუაშვილი, ნ. მუჯირი ქ. (2022). *მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში,* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

ბერიძე, ვ. (1974). *ძველი ქართული ხუროთმოძღვრება,* თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“.

დიასამიძე თ. (2015). *„გულების ჯამე”,* საერთაშორისო კონფერენციის -“კულტურა და ხელოვნება: „კვლევა და მართვა” - მასალები, გვ.126-130, ბათუმი: სტამბა „უნივერსალი“.

ბარამიძე რ. (2010). *მუსლიმური საკულტო ძეგლები,* „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, რედაქტორები: თ. შიოშვილი, რ. ბარამიძე, გვ. 390-416. ბათუმი.

ბარამიძე რ. (2017). *ისლამური საკულტო ძეგლები* (ართვინის ილი) ბათუმი.

მიქელძე ჯ. (1984). *საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში,* ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

მეჩეთები სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 2022, გამომცემლობა „არტანუჯი“.

ვარშალომიძე ჯ. (1979). *ორნამენტი ხეზე,* ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

ვარშალომიძე, ჯ. (2009). *ხალხური და დეკორატიული სახვითი ხელოვნება,* „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, გვ. 425-432, ბათუმი:ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ვარშალომიძე ჯ. (2010). *მუსლიმანური საკულტო ნაგებობების ტრადიციული დეკორი,* „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“, გვ. 417-444, ბათუმი.

კვაჭაძე ნ. (2021). *აჭარის ხის მეჩეთების არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი* (ხელნაწერი), საკვალიფიკაციო ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

კვაჭაძე ნ. (2022). *აჭარის ხის მეჩეთების ტრადიციული დეკორი და მხატვრული შემკობის ფორმები,* „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, ტ.9, გვ. 64-80, ბათუმი:სტამბა „უნივერსალი“. https://artcriticism.openjournals.ge/index.php/sac/ar icle/view/7881/7829.

კოშორიძე ი. (2012). *ისლამური ხელოვნება,* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“ .

ოქროპირიძე ა. (2010). *ვაზი - სიცოხცლის ხე,* „ვაზი-სიცოცხლის ხე", გვ. 7-31, თბილისი: თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სარფი (2015). რედაქტორები ჩოხარაძე მ., ფაღავა მ., ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა".

სუმბაძე ლ. (1982). *გადავარჩინოთ ხუროთმოძღვრების ძეგლები,* საბჭოთა ხელოვნება, # 11, გვ. 66-78, თბილისი: გამოცემლობა „საბჭოთა ხელოვნება".

სუმბაძე ლ. (1967). *ჩუქურთმა ხეზე ხალხურ ხუროთმოძღვრებაში,* ძეგლის მეგობარი, # 12, გვ. 54-65, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ჩიტაია, გ. (1967). *ლაზური ორნამენტი,* „ძეგლის მეგობარი", გვ. 71 -79, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

ჩიქოვანი თ. (1960). *ქართული ხალხური საცხოვრებელი,* თბილისი.

ყიფიანი გ., ამაშუკელი ნ.(1995). *„კოლხური" და „ფრიგიული" სახლები,* თბილისი.

ჭიჭილეიშვილი მ. (2015). *ქართული ხითხუროობის ტრადიციები აჭარის საკულტო ძეგლებში (ჯამეები),* საერთაშორისო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა"- მასალები, გვ.117-125, ბათუმი: სტამბა „უნივერსალი".

ჭიჭილეიშვილი მ.(2010). *მეჩეთების მხატვრულ არქიტექტურული თავისებურებები,* „ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში", გვ. 445-458, ბათუმი.

ჰარის-ბრანდტსი ს., ვილერი ე., შიოშვილი ვ. (2018). *აჭარის ხის მეჩეთები (ისლამური არქიტექტურული მემკვიდრეობა საქართველოში),* თბილისი.

Гараканидзе М. (1959). *Грузинское деревянное зодчество,* Тбилиси: Издательство „Искусство".

Сумбадзе Л. (1977). *Дарбазные перекрытия и их место в истории архитектуры,* II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси.

Сумбадзе Л.(1984). *Архитектура грузинского народного жилища Дарбази*, Тбилиси: Мецниереба.

AZİZSOY A., ÖZKURT M. (2021). *RİZE AHŞAP (ÇANTI) CAMİLERİNDE BEZEME ÜSLUBU, (*DECORATION STYLE IN RİZE WOODEN (ÇANTI) MOSQUES), Sanat Tarihi Dergisi, 30/2, Ekim|October, 2021, 885-929. DOI: https://doi.Org /10.29135/std.866300

ERARSLAN A. (2022). *WOODEN MOSQUES (ÇANDI/ÇANTI MOSQUES) FROM ANATOLIA'S BLACK SEA REGION,* Bulletin of the *Transilvania* University of Braşov Series II: Forestry • Wood Industry • Agricultural Food Engineering • Vol. 15(64) No. 1 – 2022 , p. 105-118. https://doi.org/10.31926/but.fwiafe.2022.15.64.1.8

Necipoglu G.(2007). *The Age of Sinan*: Architectural Culture in the Ottoman Empire.

Karpuz H. (1990). *Trabzon'un Çaykara İlçesi Köylerinde Bulunan Bazı Camiler*. In: Vakıflar Dergisi, vol. 21, pp. 281-298. https://acikerisim.fsm.edu.tr/xmlui/bitstream/handle/11352/383/Karpuz.pdf?sequence=1&isAllowed=y

Karpuz H. (1989). *Doğu Karadeniz Bölgesinde Bazı Ahşap Camiler. In: Sanat Tarihi Dergisi,* vol. 4, pp. 37-45; https://isamveri.org/pdfdrg/D00109/1989_4/1989_4_KARPUZH.pdf

Uzun Z., Çiftçi A.(2017). *Space Ana lysis of Traditiona l Wooden Mosques in Samsun in Kavak Town* , Middle Part of Black Sea Region, Turkey, *Int. J. of Herit. Archit., Vol. 1, No. 3 (2017) 322–333*.https://www.witpress.com/Secure/ejournals/papers /HA 010306f.pZorldf

u, T. (2017). Karadeniz Bölgesi'nde Ahşap Camiler: Trabzon Örneği. In: Mimarlık, vol. 395, pp. 58-67. http://www.Mimar likd ergisi.com/index.cfm?sayfa=mimarlik&DergiSayi=409&RecID=4 183

ნაშრომში ავტორის მიერ გადაღებულ ფოტომასალებთან ერთად გამოყენებულია რუსლან ბარამიძისა და ნანა მეფარიშ-ვილის ფოტოები, რისთვისაც მათ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით.

ილუსტრაციები

1-2. კვირიკეს მეჩეთი. 1860-1862

3. მეძიბნა. 1910

4. უჩხითი. XX საუკუნის 10-იანი წლები

5.კვირიკე. მეჩეთის სახურავის საცხოვრებელი კონსტრუქცია.

6. სოფელი ტაკიძეები. სახლის სახურავის კონსტრუქცია

7.მაწყვალთა. XIX საუკუნის I ნახევარი

8. ქიძინიძეები 1867

9. ქვედა აგარა. XIX საუკუნის 60-იანი წლები

10. მეძიბნა. 1910



11. სოფელი ხანი (იმერეთი). ნატრიაშვილის სახლის ინტერიერი (ლ. სუმბაძის მიხედვით)

12. ფურტიო. 1894-1895.



13. დღვანი. 1907-1908.

14. დარჩიძეები. 1908

15. კვირიკე. 1860-1862



16. შუბანი.1887-1888

17. ხოხნა 1899-1900

18. ჩიქუნეთის მეჩეთი. XIX საუკუნის I ნახევარი